

ბადრი ბელქანია

გლაზგოს უნივერსიტეტი

belkanb9@gmail.com

როგორ გავლენას ახდენენ სამოქალაქო ომები საერთაშორისო უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე? მაგალითები აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან

რეზიუმე

ისტორიული თვალსაზრისით, სამოქალაქო ომი ძველი ფენომენია, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე გავლენას საუკუნეებია ახდენს. ეს სტატია ანალიზებს სამოქალაქო ომების გავლენას საერთაშორისო უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე და აჩვენებს, რომ სამოქალაქო ომები, ზოგადად, ამ ორ მნიშვნელოვან ცნებას საფრთხეს უქმნიან, თუმცა ეს გავლენა ფორმით და მასშტაბებით ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით განსხვავდება. ნაშრომი იწყება სამოქალაქო ომის მოკლე განსაზღვრებით და გრძელდება ასეთი სახის კონფლიქტების სხვადასხვა ფორმის თეორიულ და ემპირიულ სპექტრში მიმოხილვით, რასაც ერთვის სტატიის თემატიკისთვის რელევანტური ლიტერატურა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების მაგალითზე მოპოვებული ფაქტობრივი მტკიცებულებების სიღრმისეული ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო ომი, სირია, ლიბერია, მიანმარი, უსაფრთხოება.

I

კონფლიქტოლოგიაში სამოქალაქო ომის განსაზღვრება დისკუსიის საგანია. სხვადასხვა მეცნიერი და კვლევითი ორგანიზაცია ამ საკითხზე თავის ინტერპრეტაციებს გვთავაზობს, რომლებიც ერთმანეთისგან ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმებით განსხვავდება. „უფსალას კონფლიქტების მონაცემთა პროგრამა“ (The Uppsala Conflict Data Program - UCDP) განსაზღვრავს შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტს, როგორც კონფლიქტს „სახელმწიფოს და არა-სახელმწიფო მხარეს შორის“, სხვა ქვეყნის შესაძლო ჩარევით ან ჩაურევლობით. ჩარევა ხდება მაშინ, როდესაც „სახელმწიფო მხარე, მოწინააღმდეგე მხარე, ან ორივე მხარე იღებს ფიზიკურ სამხედრო დახმარებას სხვა მთავრობებისგან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კონფლიქტში“ (UCDP 2019, <https://www.pcr.uu.se/research/ucdp/definitions>). ეს ინტერპრეტაცია ასევე გულისხმობს, რომ სამოქალაქო ომი უნდა მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებული ქვეყნის საზღვრებში - კრიტერიუმი, რომელიც ფართოდ არის გაზიარებული კონფლიქტოლოგიის სწავლებაში (Newman 2014, 59).

ასევე, „ომის ურთიერთდამოკიდებულებები“ (The Correlates of War - COW) გვთავაზობს დამატებით ცვლადებს სამოქალაქო ომის კატეგორიზაციისთვის: (1) „აუცილებელია, „მნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედებები“ მოხდეს ურბანულ დასახლებაში; (2) ორივე მხარე უნდა იყოს ეფექტურად მდგრადი (Sarkees 2007, 5). რაოდენობის თვალსაზრისით, ორივე ზემოთმოყვანილი მონაცემთა კრებული თანხმდება წელიწადში არანაკლებ 1000 სამხედრო ბრძოლასთან დაკავშირებულ სიკვდილზე, როგორც აუცილებელ კომპონენტზე იმისათვის, რათა შეიარაღებული შეტაკებები სამოქალაქო ომად განისაზღვროს (Sarkees 2007, 5).

გარდა ორგანიზაციებისა, რომლებიც სამხედრო კონფლიქტებზე მნიშვნელოვან მონაცემებს აგროვებენ, სამოქალაქო ომის კონცეპტს არაერთმა მეცნიერმაც დაუთმო ყურადღება. სამბანისი (Sambanis 2004, 820) ამტკიცებს, რომ 1000-სიკვდილიანი ზღვრის მიღება არასწორად გამორიცხავს სიიდან ისეთ სამხედრო კონფლიქტებს, რომლებიც, სხვა ყველა თვისების მიხედვით, სამოქალაქო ომებად უნდა ჩაითვალოს. სანაცვლოდ, ის გვთავაზობს, „პირობითად ავიღოთ ომის დასაწყისად წელი, რომელშიც 100-დან 500-მდე სიკვდილი დაითვლება და შევინარჩუნოთ სამოქალაქო ომის კლასიფიკაციის ქვეშ, თუ კონფლიქტის დასაწყისიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში 1000-ზე მეტი დაღუპული დაფიქსირდება“ (Sambanis 2004, 821). სამბანისის აზრით, იმდენად რამდენადაც შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებში დაღუპულთა რაოდენობის დათვლა ხშირად ძალიან რთულია, „სიკვდილიანობის ეს დიაპაზონი“ სამოქალაქო ომის ინდექსაციის პროცესს უფრო მოქნილს გახდის.

ნიუმენი საკუთარ ნაშრომში (Newman 2014) საფუძვლიანად მიმოიხილავს სამოქალაქო ომის განსაზღვრების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და გამოჰყოფს ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაზომვების უარყოფით მხარეებს. მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც იყენებს ამ ტერმინს, რადგანაც ის ინარჩუნებს თავის კონოტაციას, დიდწილად, როგორც „კონფლიქტის ქვეყნის შიგნით“, რომელიც შეიძლება მოიცავდეს უცხო სახელმწიფო აქტორების ჩარევასაც (Newman 2014, 62). ეს არის დეფინიცია, UCDP-ს და COW-ს რაოდენობრივ კალკულაციასთან ერთად, რომელიც ნაგულისხმევი იქნება ამ სტატიაში ისეთი ტერმინების ქვეშ, როგორებიცაა „სამოქალაქო ომი“ და „შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი“.

II

თეორიული თვალსაზრისით, სახელმწიფოთშორის და შიდასახელმწიფოებრივ ომებს შორის მთავარი განსხვავება არის ის, რომ პირველი მიუთითებს საერთაშორისო კონფლიქტზე ორ ან მეტ ქვეყანას შორის, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ომი უფრო მეტად ლოკალური და ხშირად ერთი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებშია მოქცეული. ეჭვგარეშეა, რომ, განსაზღვრების მიხედვით, ეს ამ ორი ტიპის ომის მართებული გამიჯვნაა, თუმცა ამ გაყოფამ ასევე შეიძლება ასეთი განსხვავებული სახის კონფლიქტების საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გავლენის თვალსაზრისით, გარკვეული მცდარი შეხედულებები გამოიწვიოს. სახელდობრ, სახელმწიფოთშორისი ომი, რომელიც განსაზღვრულია UCDP-ის მიერ, როგორც „კონფლიქტი ორ ან მეტ მთავრობას შორის“ (UCDP 2019, <https://www.pcr.uu.se/research/ucdp/definitions>), შესაძლოა იმთავითვე იყოს გაგებული, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის უარყოფითი გავლენის მატარებელი ომი, მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი, რომელიც შემოსაზღვრულია ერთი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში, აქედან გამომდინარე, შესაძლოა აპრიორი იყოს აღქმული, როგორც ომი, რომელიც არ უქმნის საფრთხეს დანარჩენ სამყაროს. ამ მსჯელობის პირველი დებულება სიმართლეა, რადგანაც სახელმწიფოთშორისი ომი, იმდენად რამდენადაც განსაზღვრებაშივე მოიცავს მინიმუმ ორ ქვეყანას, რითაც გარკვეულწილად საერთაშორისო ხდება, თავისთავად არყვეს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. თუმცა, რაც შეეხება მსჯელობის მეორე ნაწილს, ის მცდარი შეფასებების ნიშნებს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომები, სახელმწიფოთშორის კონფლიქტებთან შედარებით, უფრო მეტად ლოკალური და დიდწილად მცირემასშტაბიანებია, ისინი მაინც უქმნიან საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას მცირედი თუ დიდი მოცულობით, რაც უკვე კონკრეტულ შემთხვევებზეა დამოკიდებული. სამოქალაქო ომების თეორიული და ემპირიული კვლევები ამას ნათლად წარმოაჩენს.

პირველ რიგში, სამოქალაქო ომის განსაზღვრებების უმეტესობაში აღინიშნება, რომ სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა იყოს შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი

უცხო ქვეყნების ჩარევით. მაგალითისთვის, გერსოვიცის მიხედვით (Gersovitz & Kriger 2013, 161), „სამოქალაქო ომისგან გამოწვეული ძალადობა შეიძლება მოიცავდეს გარე აქტორებსაც, მაგრამ ძალადობა ხდება ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე და მეტწილად მოიცავს შიდა აქტორებს“. სამოქალაქო ომის თეორიული განსაზღვრების ეს ნაწილი UCDP-ის და COW-ის მიერაც არის გაზიარებული. COW-ი (Sarkees 2010) კლასიფიცირებას იმ სამოქალაქო ომის, რომელიც სხვა ქვეყნის მონაწილეობასაც მოიცავს, ახდენს ტერმინით „ინტერნაციონალიზირებული“ - „მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხვა სახელმწიფოს სამოქალაქო ომში ჩამრევი ქვეყანა, საბრძოლო პერიპეტიების იმაზე უფრო დიდ ნაწილს არ ითავებს, ვიდრე ამას რომელიმე შიდა მებრძოლი მხარე აკეთებს“. ამრიგად, სამოქალაქო ომი არ არის აუცილებლად გარემოცული ერთი ქვეყნის სხვადასხვა დაპირისპირებული მხარეებით და შეიძლება გახდეს ინტერნაციონალიზირებული. ეს თეორიული განსაზღვრება გვამღვეს საშუალებას მივუახლოვდეთ არგუმენტს, რომლის მიხედვით, თუ სამოქალაქო ომი შეიძლება იყოს ინტერნაციონალიზირებული სულ ცოტა ერთი გარე ქვეყნის ჩარევით მაინც, ეს კონკრეტული შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი უკვე საერთაშორისო საფრთხეც ხდება, რადგან ის ავტომატურად ასუსტებს უსაფრთხოებას არა მხოლოდ იმ ქვეყნის, სადაც კონფლიქტი მიმდინარეობს, არამედ იმ ქვეყნისაც, რომელიც ამ კონფლიქტში ერევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ერთი ქვეყანა ერევა მეორე ქვეყნის სამოქალაქო ომში, ეს ომი ხდება ჩამრევი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემაც.

მაგალითად, ლიბერიის მთავრობა ჩარლზ ტეილორის ხელმძღვანელობით (რომელიც ლიბერიის პრეზიდენტი ლიბერიის პირველი სამოქალაქო ომის დასასრულს გახდა (1997)) უჭერდა რა მხარს აჯანყებულ სამხედრო ფორმირებას „გაერთიანებული რევოლუციური ფრონტი“ (Revolutionary United Front), აქტიურად მონაწილეობდა სიერა-ლეონეს სამოქალაქო ომში (1991-2002). ამ ინტერვენციამ, რომელიც ამჟამად მსჯავრდებულ ჩარლზ ტეილორის პირადი პოლიტიკური და მერკანტილისტური ამბიციებით გახლდათ შთაგონებული, შედეგად, უფრო მეტად შეასუსტა უსაფრთხოების ხარისხი მთლიანად დასავლეთ აფრიკაში და, განსაკუთრებით, ლიბერიაში. საბოლოოდ, ჩარლზ ტეილორის ამ ავანტიურამ გამოიწვია 11 წლიანი სამოქალაქო ომი სიერა-ლეონეში და ლიბერიის მეორე სამოქალაქო ომი. მეზობელ სიერა-ლეონეში ამ შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის ხელშეწყობით და მასში აქტიურად ჩართვით, ჩარლზ ტეილორმა საგრძნობლად შეარყია თავისი პოსტ-კონფლიქტური ქვეყნის ისედაც მყიფე უსაფრთხოება და მშვიდობა (Käihkö 2015). სიერა-ლეონეს სამოქალაქო ომმა რეგიონში მეტი არასტაბილურობა შეიტანა, განსაკუთრებით კი დააზიანა თავად ინტერვეციონისტი ლიბერიის უსაფრთხოება და სახელმწიფოებრიობა. გადამეტებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეს ლიბერიის მეორე სამოქალაქო ომის დაწყების გადამწყვეტი მიზეზი გახლდათ, თუმცა, ნათელია, რომ რეგიონალურ არეულობას და „ლურდის“ (LURD)¹ გამოჩენას ხელი სიერა-ლეონეში მიმდინარე სამოქალაქო ომმაც შეუწყო. ასევე არსებობს მტკიცებულებები, რომ „ლურდის“ მებრძოლები „ფარულად კრებდნენ ახალ წევრებს და ქმნიდნენ მიწოდების ხაზს სიერა-ლეონე/ლიბერიის საზღვარზე“ (Human Rights Watch 2002).

ეს კონკრეტული მაგალითი აჩვენებს, თუ როგორი დამაზიანებელი შეიძლება გახდეს სამოქალაქო ომი საერთაშორისო უსაფრთხოების და მშვიდობისათვის, ამ შემთხვევაში კი, დასავლეთ აფრიკის რეგიონალური დაცულობისათვის ზოგადად და იმ ქვეყნისთვის კერძოდ, რომელიც სხვის სამოქალაქო ომში ჩაერთო. ამრიგად, სამოქალაქო ომის თეორიული საზღვრები, რომელიც არ გამორიცხავს სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობას საგარეო აქტორის ჩართულობის თვალსაზრისით, თავისთავად გულისხმობს სამოქალაქო ომის დამაზიანებელ ბუნებას საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის (ზოგ შემთხვე-

¹ შერიგებისა და დემოკრატიისთვის გაერთიანებული ლიბერიელები (Liberians United for Reconciliation and Democracy) - აჯანყებული დაჯგუფება, რომელიც ლიბერიის მეორე სამოქალაქო ომში ჩარლზ ტეილორის ხელისუფლებას უპირისპირდებოდა. მას მხარს უჭერდნენ გვინეა და სიერა-ლეონე.

ვაში, მშვიდობისთვისაც) და ეს დებულება დასტურდება შესაბამისი ემპირიული მტკიცებულებებით.

III

ლიბერიის და სიერა-ლეონეს შემთხვევებში, პოტენციური საფრთხე დასავლეთ აფრიკის რეგიონით შემოიფარგლებოდა, თუმცა სამოქალაქო ომი შესაძლოა ზიანის მომტანი იყოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის უფრო სერიოზული მოცულობითაც. ამის ნათლად დემონსტრირება შესაძლებელია სირიის სამოქალაქო ომის მაგალითზე, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის უდიდეს პრობლემად 2011-ში, მისი დაწყებიდანვე გადაიქცა (Al Jazeera 2018).

სირიის სამოქალაქო ომი დაიწყო ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ შედეგად - დემონსტრაციების ახლო აღმოსავლეთში არსებული რეჟიმების წინააღმდეგ, რომლებსაც სათავე თუნისში დაედო და შემდეგ ლიბიაში, ეგვიპტეში, იემენში, სირიაში და ბაჰრეინშიც გავრცელდა (Al Jazeera 2018). იმისათვის, რათა ანტისახელისუფლებო პროტესტი დაეშალათ, პრეზიდენტ ბაშარ ასადის უსაფრთხოების სამსახურმა და პროსახელისუფლებო შეირაღებულმა დაჯგუფებებმა ცრემლსადენი გაზითა და წინასწარი გაფრთხილების გარეშე პირდაპირი სროლით, სასტიკად შეუტყეს მშვიდობიან დემონსტრატებს (Human Rights Watch 2012). შეტაკებები პროსახელისუფლებო და ოპოზიციურ ძალებს შორის გადაიზარდა უფრო მეტად მილიტარიზირებულ ორთაბრძოლებში, რამაც სათავე დაუდო დღემდე მიმდინარე სირიის კონფლიქტს, რომელიც სამოქალაქო ომად „წითელი ჯვრის“ მიერ ჯერ კიდევ 2012 წლის შუაში გამოცხადდა. სხვადასხვა დროს რამდენიმე აჯანყებული დაჯგუფება შედარებით ახლოს გახლდათ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებისკენ, თუმცა 2014 წლიდან კონფლიქტი, ფაქტობრივად, ერთ ადგილას გაიყინა (Ibrahim 2017, 147).

სირიის სამოქალაქო ომმა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური არასტაბილურობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი და შემადგენელი გახდა, რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის მასიური საფრთხეების აღმოცენებასა და გამწვავებას შეუწყო ხელი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სირიაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირების მიერ უსაფრთხოების შემარყვევებმა ეფექტმა გადალახა ადგილობრივი საზღვრები სამეზობლო ქვეყნების მიმართულებით, გაამწვავა რა ერაყის სამოქალაქო ომი, ხელი შეუწყო ლიბანის უსაფრთხოების დესტაბილიზაციას, შეასუსტა იორდანის მთავრობის პოზიციები, და წვლილი შეიტანა თურქეთში აღმსარებლური დაპირისპირებების გაუარესებაში (Baczko, Dorronsoro, and Quesnay 2017). კრიზისმა სირიაში შექმნა ნაყოფიერი საფუძველი მრავალფეროვანი, ძლიერი შეიარაღებული დაჯგუფებების წარმოქმნის, რომლებიც შთაგონებული იყვნენ პოლიტიკური და რელიგიური მიზნებით. მიმდინარე შიდასახელმწიფოებრივმა კონფლიქტმა, რომელიც რეჟიმის მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ სასტიკი პასუხის შედეგად დაიწყო, მთელი რეგიონი ათასობით ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო ფორმირებების საბრძოლო ველად გადააქცია (UCDP 2019, <https://ucdp.uu.se/#country/652>). გარდა სირიის სახელმწიფოებრიობის სრულად მოშლისა, ამ პროცესმა თითქმის შეუქცევადად შეასუსტა ლევანტის რეგიონის უსაფრთხოების სისტემა და მშვიდობის პერსპექტივა სხვა კონფლიქტურ ქვეყნებში კითხვის ნიშნის ქვეშ გაურკვეველი დროით დააყენა.

ამავდროულად, სირიის სამოქალაქო ომი, რეგიონის სხვა კონფლიქტებთან ერთად, ისეთი საზღვრებსმიღმა საერთაშორისო უსაფრთხოების კრიზისების დამხმარე პროცესად იქცა, როგორებიცაა მიგრაცია, ტერორიზმი და გამწვავებული ანტაგონიზმი სუპერძალებს შორის. თუ ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სირიის სამოქალაქო ომი არის დესტრუქციის, სისხლისღვრის, სიღატაკის და მრავალი სხვა პრობლემის წყარო პირველ რიგში თავად ქვეყნისთვის, შედეგად გამოწვეული მიგრაცია, ტერორიზმი და პოლიტიკური არასტაბი-

ლურობა კონფლიქტში ჩართულ ძალებს შორის დიდი მანძილით გასცდა სირიის და ახლო აღმოსავლეთი საზღვრებს.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემების მიხედვით (2020) სამოქალაქო ომის შედეგად, 2019 წლისთვის, 5.6 მილიონი სირიელი ლტოლვილი მეზობელ ქვეყნებში გადავიდა, 6.2 მილიონი კი სირიის შიგნით არის იძულებით გადაადგილებული. სირიელი ლტოლვილების ამ მასიურმა მიგრაციამ შექმნა უსაფრთხოების პრობლემები არამხოლოდ მეზობელი ქვეყნებისთვის, არამედ ევროკავშირისთვისაც, რომელმაც 2017 წლის დეკემბრისთვის მხოლოდ სირიელ თავშესაფრის მაძიებელთაგან 1 მილიონი განცხადება მიიღო (UNHCR 2020). ამ პროცესს, რომელიც დიდწილად სირიის სამოქალაქო ომით იყო გამოწვეული, „ევროპის მიგრანტთა კრიზისი“ დაერქვა - ცნება, რომელიც „ევროპაში არსებული ვითარების, კერძოდ კი, პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით შესულ ლტოლვილთა, მიგრანტთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ტალღის აღსაწერად დომინანტ ტერმინად გადაიქცა“ (Agustin & Jørgensen 2019, 2).

შემდეგი ინტერნაციონალიზირებული უსაფრთხოების პრობლემა, რომელიც სირიის სამოქალაქო ომმა და მის შედეგად დამკვიდრებულმა რეგიონალურმა არასტაბილურობამ გამოიწვია, ისლამისტური რადიკალიზაციის გაზრდილი მასშტაბებია, რაც განსაკუთრებით „ისლამური სახელმწიფოს“ „ქაოსიდან დაბადებაში“ გამოიხატა (Oosterveld & Bloem 2017, 10). CNN-ის დათვლით (CNN 2018), „2014 წლის ივნისში ხალიფატის გამოცხადების შემდეგ, თვითღიარებული ისლამური სახელმწიფო 140 ან მეტი ტერორისტული აქტის (სირიის და ერაყის გარდა 29 სხვა ქვეყანაში) თავად ჩამდენი ან შთაგონების წყარო გახდა“. 2018 წლის 12 თებერვლის მონაცემებით, ამ ტერაქტებმა მსოფლიოს მასშტაბით სულ ცოტა 2043 უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს. სამეცნიერო წრეებში ფართოდ აღიარებულია ფაქტი, რომ სირიის სამოქალაქო ომმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ამ სახელმწიფოებრი ტერორისტული ორგანიზაციის აღზევებაში, რომელიც ნელ-ნელა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის და, რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისათვის კოლოსალურ საფრთხედ ჩამოყალიბდა (Fishman 2016, 186).

მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილი მიგრაცია და ტერორიზმი საკმარისზე მეტი მიზეზი იქნებოდა სირიის სამოქალაქო ომის საერთაშორისო უსაფრთხოებაზე უარყოფითი გავლენის მატარებლად ჩაგვეთვალა, ამ შიდასახელმწიფოებრივმა კონფლიქტმა ამაზე გაცილებით მეტი მსოფლიო მასშტაბის საფრთხე შექმნა. მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის გაუარესებული ურთიერთობებიც უნდა დასახელდეს. ისტორიულად, სამოქალაქო ომები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არაერთხელ გადაზრდილა იდეოლოგიურ და სამხედრო დაპირისპირების ველად აშშ-სა და რუსეთის (მანამდე საბჭოთა კავშირს) შორის, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი ინტერესების გატარებასა და გავლენის გაზრდას შესაბამის რეგიონებში მათთვის ლოიალური რეჟიმებისა თუ აჯანყებული ფორმირებების მხარდაჭერით. მაგალითისთვის გამოდგება თუნდაც ანგოლის სამოქალაქო ომი (1975-2002), სადაც აშშ მხარს უჭერდა ამბოხებულ მხარეებს „ნაციონალურ კავშირს ანგოლის სრული დამოუკიდებლობისთვის“ (The National Union for the Total Independence of Angola) და „ანგოლის ნაციონალური გათავისუფლების ფრონტს“ (The National Liberation Front of Angola), მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირი და მისი ბლოკი ეხმარებოდა „სახალხო მოძრაობა ანგოლას გათავისუფლებისთვის“ (The People's Movement for the Liberation of Angola) მიერ ფორმირებულ არსებულ ხელისუფლებას. ასევე, ავღანეთის სამოქალაქო ომი (1989-1992), სადაც აშშ მხარს უჭერდა აჯანყებულ „ავღანეთის მოჯაჰიდების ისლამურ ერთობას“ (Islamic Unity of Afghanistan Mujahideen), როდესაც საბჭოთა კავშირი გვერდში ედგა სოციალისტურ „ავღანეთის დემოკრატიულ პარტიას“ (Democratic Party of Afghanistan) (Freedman 2001).

ამ თვალსაზრისით, სირიის სამოქალაქო ომი განსხვავებულ შემთხვევად ვერ ჩაითვლება. კონფლიქტის დასაწყისიდანვე აშშ-მ მხარი დაუჭირა „ზომიერ ოპოზიციას“, რომელიც ბაშარ ასადის წინააღმდეგ იბრძვის, როდესაც რუსეთი, პირიქით, იცავს და ესარჩლება პრეზიდენტ ბაშარ ასადს (Munteanu 2016, 58-59). იმდენად, რამდენადაც ორივე სუპერძალა

ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიულად საკვანძო ქვეყნებში პოზიციების მოპოვებას ცდილობდა, სირიის სამოქალაქო ომთან დაკავშირებული დამაბულობაც დრამატულად იზრდებოდა. გარკვეულ მომენტში ვითარება იმდენად გაუარესდა, რომ რუსეთის სახელისუფლებო პირებმა აშშ-სთან შეირადებული შეტაკების პერსპექტივა შესაძლებლად გამოაცხადეს (Souleimanov & Dzutsati 2018, 47). რადგანაც კონფლიქტი დღემდე გადაუწყვეტელი რჩება, ესკალაცია აშშ-სა და რუსეთს შორის განუწყვეტელი უქმნის საფრთხეს საერთაშორისო დაცულობასა და მშვიდობას. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ურთიერთობები ამ ორ სუპერძალას შორის სტაბილური არც კონფლიქტის დაწყებამდე ყოფილა, ნათელია, რომ სირიის სამოქალაქო ომმა ეს ურთიერთობები გაცილებით გააუარესა.

სირიის სამოქალაქო ომის შემთხვევა ნათლად წარმოაჩენს, რომ სამოქალაქო ომს შეუძლია წარმოშვას სხვადასხვა სახის საშიშროება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის. ეჭვარეშა, რომ ყველა სამოქალაქო ომი არ არის იმდენად დესტრუქციული მსოფლიო უშიშროებისთვის, როგორც სირიის შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი, თუმცა ასეთი ომების უდიდესი ნაწილი სხვადასხვა დონის საფრთხეებსა და არასტაბილურობას სულ ცოტა იმ რეგიონში, სადაც მოვლენები ვითარდება, მაინც წარმოშობს. გარდა უარყოფითი ეკონომიკური შედეგებისა, სამოქალაქო ომებმა შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის გავრცელება სხვა ქვეყნებზე, რეგიონის დესტაბილიზაცია, გაზრდილი ტერორიზმი, მიგრაცია და გამწვავებული დამაბულობა სხვადასხვა დაინტერესებულ ძალას შორის.

IV

როგორც სტატიის დასაწყისში აღინიშნა, არსებობს ორი სახის სამოქალაქო ომი: უცხო ძალის ჩარევით და ჩაურევლობით. სუფთად თეორიული თვალსაზრისით, პირველი სახის სამოქალაქო ომი ავტომატურად ინტერნაციონალიზირებულია, თუმცა, რა ხდება ისეთი სამოქალაქო ომების შემთხვევაში, სადაც არავინ ჩარეულა და ქმნის თუ არა ის მაინც საფრთხეებს გარე ქვეყნებისთვის?

ისეთი სამოქალაქო ომების ბუნების გამოკვლევით, რომლებშიც საგარეო ძალები არ ჩარეულან, ასეთი კონფლიქტების საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართ უარყოფითი გავლენის სულ ცოტა სამი საკვანძო ასპექტი შეიძლება გამოიყოს. პირველ რიგში, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები იწვევს დესტაბილიზაციას იმ რეგიონში, სადაც საომარ მოქმედებებში მყოფი ქვეყანა მდებარეობს, ეს დესტაბილიზაცია კი საშიშროებას მეზობელი ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნის. ეს საფრთხე განსაკუთრებულად შესამჩნევია თუ კონფლიქტში მყოფი ქვეყანა, საომარი გართულებების გამო, ვეღარ ახერხებს მეზობელ ქვეყანასთან საზღვრის დაცვას. აგრეთვე, იდეოლოგიურ სამოქალაქო ომებში არსებული რეჟიმი შეიძლება შეიცვალოს გარკვეული გარე ქვეყნებისთვის არასასურველი ან მტრული ძალებით. ეს შესაძლო განვითარება გახლდათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი აშშ-ს და საბჭოთა კავშირის ინტერვენციებისა „ცივი ომის“ პერიოდის სამოქალაქო ომებში. დაბოლოს, ომის დამანგრეველი შედეგები ხშირად უბიძგებს დაზარალებულ მოქალაქეებს ქვეყნის დატოვებისკენ, რაც ზრდის არალეგალური მიგრაციის მასშტაბებს მეტწილად მეზობელ სახელმწიფოებში. შიდა ძალადობის შედეგად, შიდასახელმწიფოებრივმა კონფლიქტმა გარე ჩარევის გარეშე შესაძლოა გამოიწვიოს ეს სამი ნეგატიური განვითარება.

მაგალითისთვის, ბურმა/მიანმარის სამოქალაქო ომი, რომელიც COW-მა შეაფასა, როგორც არაინტერნაციონალიზირებული კონფლიქტი, შესაბამისად უცხო ქვეყნის ჩაურევლობით, ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ შეიძლება ასეთი ტიპის შიდასახელმწიფოებრივი დაპირისპირება გახდეს საერთაშორისო დონის საფრთხეების წარმოშობი (Sarkees 2007). ბურმა/მიანმარის სამოქალაქო ომი, „რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეთნიკურად მრავალფეროვანი ქვეყანაა, დაიწყო 1948 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის კვალდაკვალ, ეთნიკური გართულებების შედეგად. მას შემდეგ ეს შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი წარმოშობს სხვადასხვა სახის საფრთხეებს რეგიონალური დაცულობისთვის,

განსაკუთრებით კი ინდოეთისა და ჩინეთისთვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული დაპირისპირებულ მხარეებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებში (Kramer 2015, 357).

პირველ რიგში, კონფლიქტის მიერ რეგიონის დესტაბილიზაცია და სუსტი ცენტრალიზირებული კონტროლი ბურმა/მიანმარის ჩრდილოეთით, ქმნის ძალადობის საფრთხეს საზღვრის ჩინეთის მხარეს. მაგალითისთვის, როდესაც 2015 წელს ბრძოლებმა ჩინეთის მხარეს გადაიწია, ამას ხუთი ჩინეთის მოქალაქე შეეწირა. ჩინეთი იძულებული გახდა მომავალი ესკალაციისთვის მზადება დაეწყო და საზღვრის გასწვრივ პატრულირება გაემდიერებინა (Reuters 2016). უსაფრთხოების ზომების სიმწირე ბურმა/მიანმარისა და ჩინეთის საზღვარზე ასევე ახალისებს იარაღის დინებას საზღვრის გასწვრივ, რაც ორივე ქვეყნისთვის თანაბრად დამაზიანებელ უსაფრთხოების პრობლემას შეიცავს (Staats, Spencer, and Chang 2016). უნდა აღინიშნოს, ჩინეთი არ ყოფილა ერთადერთი მეზობელი ქვეყანა, რომელიც სამოქალაქო კონფლიქტის მიერ გამოწვეული არასაკმარისი სასაზღვრო დაცვის მსხვერპლი გახდა. ინდოეთსაც, ასევე, უწევს გამკლავება ისეთ უსაფრთხოების პრობლემებთან, როგორებიცაა „პარტიზანების საზღვართშორისი გადაადგილება, ნარკოტიკის ტრეფიკინგი, იარაღის კონტრაბანდული შემოტანა, ველური ბუნებისა და აუცილებელი ნივთების კონტრაბანდა“ (Das 2018, 580).

მეორე მხრივ, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ჰიბრიდული ომების მსგავსად, ბურმა/მიანმარის სამოქალაქო კონფლიქტიც ინდოეთისა და ჩინეთის დაკვირვებისა და მძიმე გავლენის ქვეშ მოექცა, რადგანაც ორივე სახელმწიფო მეზობელ ქვეყანაში საკუთარი ინტერესების მიღწევას ცდილობს (Zhao 2008). ეს ორი გავლენიანი აქტორი არ ერევა კონფლიქტში სამხედრო თვალსაზრისით, თუმცა ინარჩუნებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას ბურმა/მიანმარზე, რათა თავიდან აიცილოს კონფლიქტის მათთვის არასასურველი გზით განვითარება, რასაც, თეორიულად, ორივე მხარისთვის მრავალფეროვანი საფრთხის შექმნა შეუძლია. ამ თვალსაზრისით, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი ბურმა/მიანმარში და მისი არაპროგნოზირებადი გაგრძელება ორივე სახელმწიფოს, ინდოეთის და ჩინეთის, გეოპოლიტიკური უსაფრთხოებისათვის დამაზიანებელია და ზრდის ინდო-ჩინური მეტოქეობის ხარისხს.

და ბოლოს, ბურმა/მიანმარის კონფლიქტმა მძიმე ლტოლვილთა კრიზისი წარმოშვა, რომელმაც მეზობელი ქვეყნები, მათ შორის ჩინეთი, ბანგლადეში და ტაილანდი დააზიანა. მაგალითისთვის, კოკანგის რეგიონში 2015 წელს განვითარებულმა საბრძოლო მოვლენებმა, 30 ათასი დევნილი აიძულა ჩინეთში გადასულიყო, როდესაც ტაილანდი, 2015 წლისთვის, უკვე ინახავდა 120 ათას ომისგან დაზარალებულს (Kramer 2015, 360). როკინჯას კრიზისმა, რომელიც გამოწვეული იყო როკინჯელ მუსლიმთა და რახინელ ბუდისტთა შორის კონფლიქტით ბურმა/მიანმარში, პირველ რიგში, დაარტყა ბანგლადეშს, სადაც 740 ათასი როკინჯელი ლტოლვილთა ბანაკებში აფარებს თავს (BBC 2019).

დასკვნა

COW-ის 2007 წლის მონაცემებით (Sarkees 2007), 1818 წლიდან 2017 წლამდე მსოფლიოში 442 შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი დაფიქსირდა, სხვადასხვა სახის და მებრძოლი მხარით. უსათუოდ, ყოველი ამ ომის ინდივიდუალური ბუნების, მიზეზების, გარემოებების, განვითარებისა და შედეგების გათვალისწინებით, საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მათი უცვლელი და მუდმივად განმეორებადი გავლენის იდენტიფიცირება შეუძლებელია. ეს გავლენა არის ცვლადი, რომელიც იცვლება ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით. თუ, მაგალიათად, სიერა-ლეონეში სამოქალაქო ომმა გამოიწვია მეტი დესტაბილიზაცია დასავლეთ აფრიკაში და ხელი შეუწყო ლიბერიის მეორე სამოქალაქო ომის წარმოშობას, სირიის სამოქალაქო ომი გაცილებით უფრო გაცდა რეგიონს და საერთაშორისო უსაფრთხოება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გაზრდილი ტერორიზმის და მიგრაციის სახით შეარყია.

თუმცა, ამ სტატიის მთავარი მიზანი საერთაშორისო უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე ყოველი სამოქალაქო ომის იდენტური გავლენის გამოყოფა არ ყოფილა. უფრო მეტად, ამ ნაშრომის მცდელობა იყო, ეჩვენებინა, რომ სამოქალაქო ომის ეს გავლენა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე უმეტესწილად უარყოფითი და დამაზიანებელია, თუმცა ის ფორმითა და მასშტაბებით ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით განსხვავდება. სიერა-ლეონეს, სირიის და ბურმა/მიანმარის მაგალითებმა წარმოაჩინეს, რომ სამოქალაქო ომები, სხვა ქვეყნების ჩარევითა თუ ჩაურევლობით, შეიძლება გადაიზარდოს ინტერნაციონალიზირებულ საფრთხეში, რაც გამოიხატება გაზრდილ რეგიონალურ არასტაბილურობაში, კრიმინალში, საზღვრების დაუცველობაში, ტერორიზმში, მიგრაციაში, გამწვავებულ ურთიერთობებში სხვადასხვა გარე ძალებს შორის, და ზოგიერთ შემთხვევაში, ომის გავრცელებაშიც სხვა ქვეყნებზე, რაც ძირს უთხრის არა მხოლოდ უსაფრთხოებას ამ ქვეყნისა, არამედ მშვიდობასაც.

ეს უარყოფითი გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე უფრო მეტად სახეზეა, როდესაც გარე სახელმწიფო სხვა ქვეყნის სამოქალაქო ომში ერევა, რითაც საკუთარ თავს რთავს კონფლიქტში, რომელსაც, თავისი ჩართულობით, ინტერნაციონალიზირებულად აქცევს. სამოქალაქო ომები საგარეო აქტორების ჩარევის გარეშეც ქმნიან სხვადასხვა ტიპის საფრთხეს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის, პირველ რიგში კი, მეზობელი ქვეყნებისთვის. შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტთა ბუნების თეორიული ანალიზი და არსებული ემპირიული მტკიცებულებები, როგორც, მაგალითად, ბურმა/მიანმარის სამოქალაქო ომია, ამას ნათლად ადასტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Agustin, Oscar Garcia, and Martin Bak Jørgensen. 2019. *Solidarity and the 'Refugee Crisis' in Europe*. Cham: Palgrave Pivot.
- Al Jazeera. 2018. *Syria's Civil War Explained from the Beginning*. Accessed April 11, 2019. <https://www.aljazeera.com/news/2016/05/syria-civil-war-explained-160505084119966.html>.
- Baczko, Adam, Gilles Dorronsoro, and Arthur Quesnay. 2017. *Civil War in Syria: Mobilization and Competing Social Orders*. Cambridge: Cambridge University Press.
- BBC. 2019. *Rohingya Crisis: Bangladesh will no Longer Take in Myanmar Refugees*. Accessed April 10, 2019. <https://www.bbc.com/news/world-asia-47412704>.
- CNN. 2018. *ISIS Goes Global: 143 Attacks in 29 Countries have Killed 2,043*. Accessed April 11, 2019. <https://edition.cnn.com/2015/12/17/world/mapping-isis-attacks-around-the-world/index.html>.
- Das, Pushpita. 2018. "Security Challenges and the Management of the India-Myanmar Border". *Strategic Analysis* 42 (6): 578-594.
- Fishman, Ben. 2016. "Defining ISIS". *Survival – Global Politics and Strategy* 58 (1): 179-188.
- Freedman, Lawrence. 2001. *The Cold War: A Military History*. London: Cassel & Co.
- Gersovitz, Mark, and Norma Kriger. 2013. "What is a Civil War? A Critical Review of its Definition and (Econometric) Consequences". *World Bank Research Observer* 28 (2): 159-190.
- Human Rights Watch. 2002. "Prospects for Sustainable Peace in the Mano River Union". Accessed April 5, 2019. <https://www.hrw.org/reports/2002/liberia/liberia0402-03.htm>.
- Human Rights Watch. 2012. *World Report 2012: Syria*. Accessed April 5, 2019. <https://www.hrw.org/world-report/2012/country-chapters/syria>.
- Ibrahim, Azeem. 2017. "Ending Syrian Civil War: Is there a Federal Solution?" *Geopolitics, History and International Relations* 9 (2): 141-166.
- Käihkö, Ilmari. 2015. "'Taylor Must Go' – the Strategy of the Liberians United for Reconciliation and Democracy". *Small Wars & Insurgencies* 26 (2): 248-270.

- Kramer, Tom. 2015. "Ethnic Conflict and Lands Rights in Myanmar". *Social Research* 82 (2): 354-374.
- Munteanu, Valentin. 2016. "The United States, Russia, and the Syrian Conflict. The Involvement of the Two Great Powers in Syria's Civil War from January 2015 to September 2016". *Political Science Series* 5.
- Newman, Edward. 2014. *Understanding Civil Wars: Continuity and Change in Intrastate Conflict*. New York: Routledge.
- Oosterveld, Willem Theo; Bloem, Willem. 2016/2017. *The Rise and Fall of ISIS: from Evitability to Inevitability*. The Hague Center for Strategic Studies.
- Reuters. 2016. *China Offers Myanmar Support to End Ethnic Unrest Near Border*. Accessed April 11, 2019. <https://www.reuters.com/article/us-china-myanmar-idUSKBN13P0B2>.
- Sambanis, Nicholas. 2004. "What is Civil War? Conceptual and Empirical Complexities of an Operational Definition". *The Journal of Conflict Resolution* 48 (6): 814-858.
- Sarkees, Meredith Reid (The COW). 2010. "Codebook for the Intra-State Wars v.4.0.". Accessed April 12, 2019. <http://cow.dss.ucdavis.edu/data-sets/COW-war>.
- Sarkees, Meredith Reid. 2007. *The COW Typology of War: Defining and Categorizing Wars*. Accessed April 6, 2019. <http://www.correlatesofwar.org/data-sets/COW-war/the-cow-typology-of-war-defining-and-categorizing-wars/view>.
- Souleimanov, Emil Aslan, and Valery Dzutsati. 2018. "Russia's Syria War: A Strategic Trap?" *Middle East Policy* 25 (2): 42-50.
- Staats, Jennifer, Kay Spencer, and I-wei Jennifer Chang. 2016. *China's Role in Myanmar's Peace Process*. Accessed April 1, 2019. <https://www.usip.org/blog/2016/09/chinas-role-myanmars-peace-process>.
- United Nations High Commissioner for Refugees. 2020. *Syria emergency*. Accessed April 9, 2020. <https://www.unhcr.org/syria-emergency.html>.
- Uppsala Conflict Data Program. 2019. *Syria*. Accessed April 11, 2019. <https://ucdp.uu.se/#country/652>.
- Uppsala Conflict Data Program. 2019. *Uppsala University*. Accessed April 2, 2019. <https://www.pcr.uu.se/research/ucdp/definitions>.
- Zhao, Hong. 2008. "China and India: Competing for Good Relations with Myanmar". *The Journal of East Asian Affairs* 22 (1): 175-194.